

თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის მეზო-კაინოზოური ნალექების იქნოლოგიური და სედიმენტოლოგიური შესწავლა

კახა კოიავა

ზურაბ ლებანიძე, ნინო დუდაშვილი, გიორგი ნიკოლეიშვილი

Kakha.Koiava@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, თსუ, უნივერსიტეტის ქ. 13

2013 წლის საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენს მიერ (მონაწილეობდნენ აგრეთვე: თ. ბერიძე, ზ. ლებანიძე, რ. ჩაგელიშვილი, ს. ხუციშვილი) შესწავლილ იქნა აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ სეგმენტის მეზოკაინოზოური ნალექების რამდენიმე ჭრილი.

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ სეგმენტის უძველეს წარმონაქმნებს წარმოადგენენ ზედა ცარცული და პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექები, რომლებიც ვიწრო ზოლის სახით შიშვლდებიან მდ.მტკვრის მარჯვენა შენაკადების (მდ. ძამა, ტანა, თეძამი და სხვ) ხეობებში და აგებენ სეგმენტის მსხვილი ანტიკლინების: ჩობარეთის, ხვედურეთის, იმერხევი-აწრევის, საცხენისის, თეძამის, გუმბათის გულებს.

საკვლევი ობიექტების სტრუქტურულ – გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მდ. ძამას აუზის ზედაცარცულ – პალეოცენური ფლიშური სერიის გამოსავლებში შიშვლდება შრეებრიობის ზედაპირების მცირე ფართობები, ამიტომ ნამარხი ნაკვალევები ფრაგმენტულია, ცუდად დაცული და პრაქტიკულად არ ისაზღვრება.

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით უფრო საინტერესოა მდ. ძამას ხეობის შუაეოცენური ვულკანოგენ-დანალექი წარმონაქმნები. ამ სერიის ქვედა ნაწილში (ლიკანის წყება), სუბტუტე ბაზალტების შრეებრივ ვულკანოკლასტოლითებში ჩვენს მიერ დადგენილია შემდეგი სახის ნამარხი ნაკვალევები: იზოლირებული სპირალური ფორმა (Spiroraphe) რომელიც მიეკუთვნება Pascichnia – ის ეტოლოგიურ ჯგუფს და სხვადასხვა მიმართულების, გაღუნული და სწორხაზოვანი, ზოგჯერ დატოტვილი, გლუვი ნაკვალევები Repichnia –ის ეტოლოგიური ჯგუფის, რომლებიც ცხოველის ხოხვის კვალს წარმოადგენენ.

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით ინფორმატიული აღმოჩნდა სოფელის ლისის მიდამოების ზედაეოცენური ნალექები. სოფ. ლისის მიდამოებში იქნოფაუნის ადგილსამყოფელი დაკავშირებულია ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილთან, რომელიც აგებულია თბილისის ნუმულიტებიანი წყების ქანებით. იგი ძირითადად წარმოდგენილია მერგელების შუაშრეების შემცველი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით.

თბილისის წყების იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ წინასწარი განსაზღვრით დადგინდა შემდეგი იქნოფარების წარმომადგენლები: Planolites Chondrites, Rhizocorallium Zoophycos, Paleodictyon (ორი სახე: P. cf. strozzii და P. cf. Minimum).

დ.ზეილაჰერის ნამარხი ნაკვალევების ბათიმეტრიული ზონალობის სქემის მიხედვით ლისის იქნოკომპლექსში გვხვდება შელფური Cruziana-ის იქნოფაციის (Rhizocorallium), ბათიალური Nereites-ის ფაციესის (Paleodictyon), მათ შორის გარდამავალი Zoophycos-ის ფაციესის და დაბალ-ოქსიგენური გარემოს Chondrites-ის ფაციესის (Chondrites) დამახასიათებელი ფორმები. აბისური ზონისათვის დამახასიათებელი სპირალური და მეანდრირებადი ფორმები ამ კომპლექსში არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ნამარხი ნაკვალევების არნახული სიუხვისა ზედაეოცენის ზედა ნაწილში, ლისის ანტიკლინის ფრთების ამგებ ოლიგოცენურ ნალექებში ბიოტურბაციების კვალიც კი არ შეიმჩნევა. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ მაიკოპის სერიის ქანების დალექვის დროს აუზის ქვედა ნაწილი გოგირდწყალბადით იყო გაჯერებული, რაც აბსოლუტურად არახელსაყრელი იყო ბენთოსური ორგანიზმების განსახლებისათვის.